


ს ვ ა ლ ი



სამეცნიერო და სალიბერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 33.

გვისტოს 8, 1893 წ.

№ 33.

წინასწარ: — ოცნება პატიმრისა ლექსი ბაჩანასი. — ახალი ქართული ჟურნალი. — მარგანეცის (ქვა-გუნდის) ამბავი. — გამოკრეფილი ამბები. — * ლექსი თ. რაზიკაშვილისა. — სამკურნალო მეცნიერებისათვის წამებულნი კოტე ამირაჯიბისა. — ძველი და ახალი ქერქუი ე. ნინოშვილისა. — ქებათა-ქება ლექსი ვაჟა-ფშაველასი. — თაზო მომღერალი მოთხრობა ბარბარე ჯორჯაძისა.

ოცნება პატიმრისა

(ეკუთვნის შაჰ-აბასის დროს)



ყელი იყოს წუთისოფელი,
ძნელი ყოფილა შავი დროს ზარი.
როგორ არ მოჰკვდებ, პოეტის გულსო,
და არ აძვრდეს ფე შენი ქარი?


პლაშის სეავებმა ხალხი დაგვიპაშა,
დაბნელდეს ჩენი სამშობლოს მყარი!..

როდემდის უნდა სენაკს ვუყურო,
ვიმკლოვიარო მე ხეცდრი მწარე?
რა ხანი არის ბედკრულ ტუსაღსა
გაწირული აქვს თავისი მხარე?
ფეხში ბორკილით წყულღმა ძალამ
გამომისტუმრა სამშობლოს ვარე,

უნდა შეეხედო ამ შეე-ბნელ კედლებს,
გდათხებილებს მართალთ სისხლითა,
ვიდრე სიმართლე მხარებს არ შეისხამს,

არ აიჭრება ხალხი ძილითა,
და მიბნედილი ქართველის სისხლი,
დენას არ იწყებს ძველი მილითა...

როდის იქნება ჩიტი მოფრინდეს,
მითხრას: „რატომ არ ვახეღვ ვარეო?
ქართლის შეიღებმა აქა-და-აქა
კადავიხადეთ ომი ცხარეო,
ბევრი დაეცა უსჯულოს ხელით,
ვეიმარჯვდება კი — გაიხარეო!



ბორკილი გატყდეს.., კარი გაეღოს..
მორით შემესმას ლაშქრის დგრილი
ჩამოდრიოდეს ქართველთ მხედრობა,
აბჯარს ვაჰქანდეს ელევა, კრიალი
და ფერად დროშას იერიისას
მეტეხუდ ჰძრავდეს ნელი ნიავი!..

პარევისისხლის მდინარეობის აღმომწერი
კაცის ტანში. (იხ. მე-8 და მე-9 გვერდი)

ახალი მართული ჟურნალი



მ ორის დღის წინად მოვიდა ქალაქი ნება-რთვისა ქართულის თეიურის ჟურნალის გამო-საცემად, სახელად „მოამბე“. ერთი გონების განსაზღვრებელი წყარო კიდევ წარმოადინდა ქართულთათვის.

ეტყობა მეოთხმოც-და-ათე წლები გვიქადებენ დიდსი ხნის შეწყვეტილის პერიოდულ ლიტერატურის განცხოველებას. წლებინდელი წელიწადი კეთილ მოსახსენებლად უნდა დარჩეს ქართველთა გონება-განვითარების ხანაში.

ამ წელს პირველად დაიბადა ქართულს ენაზედ ნახატებიანი გაზეთი „ეკალი“. ამავე წელმა შეგვიძინა თეიური ჟურნალი „მოამბე“. ამიერიდან ჩვენ გვექნება ქართულს ენაზედ შეიღ სულ სხვა-და სხვა პროგრამის ჟურნალ-გაზეთები: ერთი დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „იგერია“, ერთი ნახატებიანი სალიტერატურო და სამეცნიერო გაზეთი „ეკალი“, ერთი საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“, ორი სასულიერო გაზეთი, რომელთაგან ერთია „მწყემსი“ და მეორე „სასულიერო უწყება“, ერთი სამკურნელო გაზეთი, სახელად „მეურნე“ და ერთიც ახლად დაბადებული თეიური ჟურნალი „მოამბე“. არც ერთი ამათგანი იმდენად არ არის ერთგვარი პროგრამით და სიერცით, რომ ერთმა მეორეს აენოს. თითოეული ამათგანი განირჩევა თავისებულობით და ყველანი იმდენად მრავალკერძონი უნდა იყონ, თანახმად თავის პროგრამისა, რომ ერთი მეორეს დამატებს, დასძენს და კეთილშობილურ კამათობით თუ ეცდებიან, ისინი წარმოშობენ საერთო ღონიერს ნაკადულს გონების განვითარებისას საქართველოს ცხოვრების ნიდაგებედ.

სამწუხარო იქნება, რომ რომელიმე ამათგანმა უმტყუნოს თავის მიზანს, თე ს დაუდევრობით და უყურადღებობით ადრე დააქნოს სულიერი ნაყოფი. ჩვენ გვეჯერა, რომ თუ თითოეული მათგანი გაირჯება და თავის მოვალეობას რიგიანად ასრულებს, შესაფერი წარმატებაც მალე მიეცემათ. ჩვენ გვეჯერა, რომ ქართველთა შორის თან-და-თან იღიძიებს კითხვისა და სწავლის სურვილი; მაშასადამე თითოეულს ამ გამოცემათგანს საკმაო მისაზრდობელი წევრიც ჩაუდგება ფსევბში, რომ იხაროს და გაიზარდოს.

იმ ერში, რომელიც სამწუხარო ისტორიული გარემოების ძალით თავის თვით-არსს ცხოვრებას მოკლებულია, რომელსაც თავისი საკუთარი სწავლა-განათლება აღარ აქვს, პერიოდული ლიტერატურა

ერთად ერთი ცხოველს-მყოფელი მოვლენაა. ივია მტკიცე ბურჯი ეროვნებისა. მით სულდამგულობს ეროვნების ნიშან-წყალს, მითი ინახავს თავს ეროვნება მომავლისათვის მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ამავე უნდა მიუძღოდეს თეიურს მრავალ-ფურცლოვანს და სქელ წინად გამოცემულს ჟურნალს. იმ გონების ნაწარმოებთათვის, რომელნიც ეერ მოთავსდებიან თითო-ოროლა ფურცლოვან გაზეთებში და ჟურნალებში, თეიური ჟურნალი ნამდვილი საბუღარია. იქ მოთავსდება ერცელი ფილოსოფურ-კრიტიკული სჯა, ერცელს მეცნიერულს საბუთებზედ დამყარებული. იქ, იმ ჟურნალში, უფრო არხინად შეუძლია მოიდგას ფეხი ყოველ გვარამ მეცნიერებამ. ერთი სიტყვით სქელი თეიური ჟურნალი ჩვენისთანა ფულე-შერყეულ ერისათვის იგივე სამეცნიერო უნივერსიტეტი უნდა იყოს, რაც სხვა განათლებულ და თავისუფალ სახელმწიფოებისათვის ფინალესი განათლების გაჰერცელებელი ნამდვილი უნივერსიტეტი თავის ფაქულტეტებით და პროფესორთა კრებულებით.

მიუცილებლად ახალ დაბადებულს ქართულს თეიურ ჟურნალში მოიყრიან თავს საუკეთესო ჩენი მწერლებიცა და მთელი საქართველოს ერის განების ნაწარმოებიც აქ დაგროვდება. ამის იმედი მით უფრო გვაქვს, რომ მისი გამომცემელი არიან ერთი გროვა, ერთი ჯგუფი იმ ახალგაზღობის, რომელიც არც ჯავახს, არც ხარჯს, არც არაერთიან თავგანწირულებას არ ზოგავს ქართული ლიტერატურის აყვავებისთვის; ეს ის გროვაა, რომელიც განზე დგას და არ ერევა პარტიობის საქმეში, საცა ხშირად ზოგიერთ განათლებულს მეთაურს ენის წევრზედ აკრია ხოლმე ყოველი საქველმოქმედო საქმე და თითქოს ყოველნაირ საერთო მოღვაწეობისთვის მზად არის თავი შესწიროს მხოლოდ მაშინ, როცა ასეთი მოღვაწეობა მის უქადის მსუქანს ლუქვას და დიდს გამოსარჩენს სანოვაგეს. ივი მისწრაფის ამ სანოვაგის შედგენით, უნდა თეითონ ჩაიგდოს ხელში საქმე და ორთაყვირები, ვითომც იმ განზრახვით, რომ ბეერის სიკეთეს შეეძნეო ჩემს საზოგადოებას; მაგრამ ხშირად დაპირება ბეერი გაგვიგონია და როცა სანოვაგის თეში დამჯდარა, მის მეტს განცხრომა და ფუფუნება აღარავის რეგება და არც არის წარმოსადგენი, რომ სხვა ნაირად მოხდეს მისი საქმე. ტყულად არ უთქვამს მაცხოვარს: „უკეთუ გენებოს ჩემთან ყოფნა, დაუტევე ყოველი მოკვასი შენი, უარ ჰყავ თავი თვისი, აღიღე ჯვარი და შემომიღვიგე მე“.... „არა ჯერ

არს ორთა უფალთა მსახურება... ვერ ხელემწიფე-
ბის ღეთის მონებად და მამონასა“.... ვის გაუკონია
ხორცისა და სულის თანასწორი პატივისცემა. ვინც
ნამდვილი მოღვაწეა, ის ქვეყნიური კეთილი ცხოვ-
რებით არ უნდა იყოს გატაცებული, ის არ იტყვის:
„გერ მომეცით ადგილი ხუთს-ექვსს თუმანიანია
და მერე ქვეყანას ავაშენებო“. ამისთანა მოღვაწეს
თავის სახლის მეტა სხვისი არ აღუშენებია და ხშირად

ისიც გვინახავს, რომ მის სახლის შენებაში, სხვების
ქონების დანგრეულიყოფს.

აი, ასეთი გვიარს მოღვაწეებს არ ეკუთვნის ის
ახალგაზღვობა, რომელსაც განუზრახავს ქართული
ქურნალის „მოამბის“ გამოცემა და ამიტომაც უფრო
ვეყურა, რომ ივინი თავის მოვალეობას არ უშტაყუ-
ნებენ. ღმერთიან ხელი წარუმართოსთ.

მარბანენის (ჭვა-გუნდის) ამბავი*)

წოცა გაზეთებში პირველად წაიკითხეს, რომ
სახელმწიფო ბანკმა 3-5 წ. ლოლობერიძეს
ათასი თუმნის ნღობა მიანიჭო, ყველა მწარ-
მოებლებს გაუკვირდათ. გაუკვირდათ უფრო იმისთვის,
რომ არავის გგონა, თუ სახელმწიფო ბანკი ვისმე ქვა-
გუნდის მწარმოებელთაგანს ასეთს შეღავათს აღირ-
სებდა. მეორე ესეც იყო, რომ ბ-ნი წ. ლოლობერიძე,
როგორც ქვაგუნდის მწარმოებელი არც პირველი
იყო, არც მეორე და თითქმის არც მესამე.

ბევრს მაზედ უფრო ადრე დაეწყო ეს საქმე და
დიდი წარმოებაც ჰქონდა. სამართალი მოითხოვდა,
რომ სახელმწიფო ბანკი შესულყო იმათ გარემოე-
ბაშიაღ და რაკი რომელსავე ხელს გაუშართავდა სე-
სხით, უშეკელად, სხვებისათვისაც უნდა მიეჭკია ყუ-
რადლება, რომ საზოგადოთ ქვაგუნდის წარმოება
ამ მხრით დაწინაურებულიყო და უტხოკვეყნ-
ლი კომისიონერების კლანჭიდან თავი ეხსნათ
ქვაგუნდის მებატრონეებს. მაგრამ როგორც ყო-
ველთვის მომხდარა ჩვენში, საზოგადო წარმოე-
ბას კი არაიენ აქცევს ყურადღებას, არამედ კერძო
პირს, რომელსაც მხოლოდ თავის ნაწილობების წყა-
ლობით და პროტექციით შეუძლია რამე გარი-
ღოს. ჩვენ აქ ეს მაგალითი იმისთვის კი არ მოგ-
ვყავს, რომ ვინმე იფიქროს, ვისიმე სარგებლობა
გეშურდეს, ან ვეციალებოდეთ. სრულებითაც არა.
ჩვენ ისიც სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ ერთმა მწა-
რმოებელთაგანმა მიინც ისარგებლა სახელმწიფო ბა-
ნკის შემწეობით და ისიც კარგია, თუმცა ასეთი კე-
რძო შემწეობა საზოგადო წარმოებას ვერ აღაყუ-
ვებს და არც შეუძლია გამოიწვიოს რაიმე სახელმწი-
ფო და საქვეყნო სარგებლობა.

ამ შემთხვევაში უფრო მოვალე იყო კავკასიის
რკინის გზის გამგეობა, რომ მთავრობის ყურადღება
აღრიანად მიეჭკია ისეთს წარმოებისათვის, რომე-
ლიც მის გვერდით იბადებოდა და თვით იგიც ბევრს

მოიგებდა. იმას უნდა გაცხნა გული ამ წარმოე-
ბისათვის დაბადებისთანავე და ორივე ხელით მოსჭიდ-
ბოდა, რომ, რაც შეიძლებოდა, მალე გაკეთებულ-
ყო ქვაგუნდის გადასახიდავი რკინის გზის ტრატი. ის
არა სჯობდა, რომ ფოთი-ბაქოს რკინის გზის გამგეო-
ბას დაერიგებინა მწარმოებლებისათვის ბებები და
თვითონ გაეზინდა საზღვარ გარეთ ეს მადანი, რომ
რაც უტხოკ ქვეყნელმა კამისიონერებმა ფული და-
ხტეტეს, ამას მიეღო ხაზინის სხსარგებლოთ. მარ-
ტო აქედან აღებულყო სარგებელი გააკეთებდა ჭი-
თურის რკინის გზას, სხვა რომ არა ყოფილიყო.
ნუ დავიფიქვებთ, რომ ჯიბეცარიელად მოსული
სოფელიაკები და ლიმენერგერები დღეს ნახევარ-ნახე-
ვარ მილიონობით ატრიალებენ კამისიით აღებულს
თანხას. მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, ჩვენს ფოთი-
ბაქოს რკინის გზის გამგეობას სად ჰქონდა ისეთი
საზრიალობა, ამერიკელები ხომ არ იყვენ, რომ ეს
ფიქრათ?

ბოლოს რის ვივავალახით, როცა კერძო კა-
ცებმა პროტექციით გააჯერეს გზის სამინისტრო:
„ოღონდ მოგვეცით ნება, ჩვენ გამოვიყნათ ჭიათურის
გზას და ოცდა ხუთს წელს შემდეგ უსახელლოთ
გადმოგვეცით ამავე რკინის გზასა, როცა თორმეტი
წელი გავიდა ამ ყოყმანში, როცა უტხოკ ქვეყნელ-
ლებმა გაიყნეს ჯიბეები ამ ქვაგუნდის წარმოებით,
როცა მანდები დაანგრის და ოცი მილიონი ფუ-
თის გულისათვის ას ორმოც-დაათი მილიონი მა-
დანი გააუფუტეს, მხოლოდ მაშინ დარწმუნდა მთაე-
რობა, რომ ქვაგუნდის საქმე მართლა სახირო უნ-
და იყოს კავკასიის რკინის გზისათვის და მისცა ნება-
რთვა ჭიათურის რკინის გზის გაკეთებისათვის. მაგრამ
ახლა რკინის გზის გამგეობამ აქაც უნდა საქმე დახ-
ლართოს და გააუფუტოს. იმის წარადგენით გზის სამინის-
ტროს კიდევ დაუმტკიცებია თურმე ფასი ერთი ფუთი
ქვაგუნდის გადმოტანისა ჭიათურიდან ზესტაფონამ-
დის. ფუთის გადმოსატანად დაუღვიათ **ოცა შაჟრა**
ოცდა თექვსმეტის ვერსის მანძილზედ. ეს ფასი, ანუ

*) ი. „კვალი“ № 32.

ტარიფი წარმოუდგენელია. მთელ დედამიწაზედ არ არსებობს ასეთი ძვირი გადატანა რკინის გზებზე. თუ ვინმეკბადა ეს ტარიფი საბოლოოვით დამტკიცდა, მაშინ შესაძლებელია ხარ-ურმით უფრო იაფად იტვირთონ გადატანა და ქიათურის გზა ტყულა სახრიგინოთ დარჩეს.

აი, რა საბუთი წარუდგენია რკინის გზის გამგეობას ზემოხსენებული ტარიფის დასამტკიცებლად:

„ღღეს კავკასია გზაენისო ქვაგუნდას ყველაზედ უფრო მეტს ინგლისშიო. მთელი წარმოების (639/0) სამოც-და-სამი პროცენტი მარტო იქ იგზავნებაო.

1888 წლიდან 1891 წლამდის	
ინგლისში გაუგზავნიათ	9,251,189 ფუთი.
პოლონდაიაში	2,583,700 „
გერმანიაში	993,320 „
საფრანგეთში	909,846 „
ბელგიაში	341,547 „
დანარჩენ ქვეყნებში სულერთიანად	447,625 „

ცხადია, კავკასიის ქვა-გუნდის ფასი ინგლისში უნდა მტკიცდებოდეს. 1892 წელს იელისის თევში თითო პროცენტი მეტალი ქვაგუნდისა ღირებულა ერთი შილინიგი და სამი პენსი. ამ ღირაშით ერთი ფუთის ფასი რომ გამოიყვანათ და იქაური ფულის კურსიცი მხედველობაში მივილოთ, გამოდის, რომ ფუთი ქვა-გუნდისა, ინგლისში მიტანილი, ღირს ათი შაური და ცოტა კიდევ მეტოი.

„ქვაგუნდის ლითონი მიაქეთო კავკასიიდან ნამზელეებათ და 52 — 55% წმინდა ლითონიო (ამის დამწერს რა ფუთხრათ, რამდენი ნაკლებ პროცენტიანიცი მიდობოდეს). აიელოთო თეთი ქათურაში ქვაგუნდის ფასი—ფუთზედ ორი შაურიო, გადატანა ქიათურიდან ფოის—17 თუ 18 კაპეიკო (ცტუბა ამის დამწერს ქიათურის გზაზედ გადატანა უანგარიშნია ორ შაურად ფუთო, 2—3 კაპეიკიცი ცეცხლის გეშე დატერიოთა და სხვა ხარჯები), გამოდის, რომ მწარმოებელს შეუძლია ფოთში გაჰყიდოს ფუთი 27—28 კაპეიკათო. ამას რომ კამისიონერების მოგება ერთი შაურიცი დაუმატოთო, მაშინაიცი ერთი შაურიცი უფრო გაიფედება ქვაგუნდის ფასი ფოთში, ეიდრე უწინ იყიდებოდაო, უწინ კი 37 კაპეიკით იყოო. რომ იქიციცი გემის ფასი ზღეით ინგლისამდის 14—16 კაპეიკამდის ავიდსო (ნეტა როდის ყოფილა ამაზედ ნაკლები გემით წალება), მაშინაიცი ანგლისის სხვა ქვეყნებზედ უფრო იაფად დაუჯდება ქვაგუნდის გატანა კავკასიიდანაო და უფრო მეტციც გაეცაო.“

თურმე ასეთი უმწიფარი გონების მოსაზრებით წარადგინა სამინისტროში კავკასიის რკინის გზის გამგეობამ თაეისი მოხსენება იმ განზრახვით, რომ ფუთი ქვაგუნდის გადატანა ქიათურის რკინის გზაზედ დამტკიცებულყო ორ შაურად. მაგრამ ნეტა თუ მართლა რკინის გზის გამგეობა ფიქრობს, მთელი ინგლისის სალითონო ქარხნები კავკასიის ქვაგუნდაზე იყოს დამოკიდებული? ვე რომ იყოს, კარგი დავემართო; მაშინ რასაკვირველია, როგორც გეინდლო, ისეთს ფასს დავადებდით. არ წაიღებდა, რა გზა ექნებოდა? მაგრამ საქმეციც ეკ არის, რომ ინგლისის სალითონო ქარხნის წარმოება, როცა უნდა, მაშინ ავეცილოებს თაეიდან და ერთ კენქ ქვაგუნდასაიცი აღარ იყიდის ჩვენგან, თუ მოინდობა.

მეორე ესეც უნდა ითქვას. იმ დროს, როცა თეთი რკინის გზის შემოსავლის ვადიდების გულისათვის ცდილობენ გადაზიდვისა და გადაყვანის ქირა, რაიცი შეიძლება, დასწიონ ძირს, გააიფონ და ინგლისში კიდევ ცდილობენ სრულიად გააუქმონ ეს ხარჯი, რომ სხვა მხრით ერთი ათად უფრო მეტი წარმატება მიეცეს ეპკობას და მრეწველობას, აგრეთვე მეტი შემოსავლიციც ექნეს ხაზინას, ეიდრე ღღეს რკინის გვიდან აქვს, ჩვენში ამ თაეისებურად სარგებლობის გონიერ მჭიბებელთა, მგონია, სულ უნდათ დახურონ წარმოება ქვაგუნდის გადაზიდვის ფასის ვადიდებით.

მოიყვანათ შესანიშნავი მაგალითი. ინგლისის ქალაქის ბეიფორდიდან წამოღებული ტყირთი (90) ოთხმოც-და-ათი ფუთი (ორჯულ ვადიდებ-ვადმოღების ხარჯი ევაგონიდან გემში და გემიდან ევაგონში კიდევ სხვა არის) დაჯდომია ბათუმის დამოქნას (8.50 კ.) რვა მანეთ ნახევარი ბათუმამდის, ესე იგი ფუთო რვა კაპეიკო, ვადიდებ-ვადმოღების ხარჯს ვარს. იგივე ტყირთი ბათუმიდან რიონის სადგურამდის ღირებულა (178.) ჩეიდმეტი მანეთი, ესე იგი აქ ფუთი ერთი ორად უფრო ძვირად დამჯდარა, ეიდრე ინგლისიდან ბათუმამდის. ეს მაგალითიციც საქმეოა, რომ დავრწმუნდეთ, რამდენად ღარიბდება ერი საქონლის ძვირფასად გადატანისა გამო და რამდენად მოუხერხებელია ამ შემთხვევაში, რომ აღებ-მიცემობა, ეპკობა და მრეწველობა წინ წაიედეს ჩვენს მხარეში.

ჩვენეი ქვაგუნდის ფასი ინგლისში ყოველითვის დამოკიდებული იყო, არის და იქნება, სხვა-და-სხვა ქვეყნების ქვაგუნდის ფასზედ. იქიდან უფრო ბევრი მოდის ეს საქონელი და ინგლისის სალითონო ქარხნები ჩვენს ქვაგუნდას იმათ ფასის შედარებით ყოცდობენ.

	1887 წ.	1888 წ.	1889 წ.	1890 წ.	1891 წ.
კავკასიიდან გასულა ქვაგუნდა ფუთობით . . .	4,831,327	1,966,016	3,946,886	7,999,340	5,614,440
ჩილიდან (სამრეთ - ამერიკაში) . . .	4,000,000	3,644,000	4,400,000	4,932,000	4,340,000
საერთო მოთხოვნილება კი მთელს ევროპაში ყოფილა . . .	17,844,160	13,603,000	17,662,000	24,618,000	—

ამავე წლებში ფასები ინგლისში ფუთზე იყო შემდეგი:

	1887 წ.	1888 წ.	1889 წ.	1890 წ.	1891 წ.
	ოქტ.	კ.ოქტ.	კ.ოქტ.	კ.ოქტ.	კ.ოქტ.
ჩენი ქვეყნის	—	29,2	28	30	33,2
ავსტრიისა	—	—	—	33,4	—
გერმანიისა	—	—	—	31,7	34,7
ჩილისა	—	—	—	33,6	33,7
სხვა სახელმწიფოებისა	—	—	—	41,7	—
ოსმალეთისა	—	—	—	—	43,2

ამ ფასებიდან ხიანს, რომ ჩენი ქვაგუნდა მეტი ბარგია ინგლისისა და ევროპის სალითონო წარმოებისათვის. იმას ყიდულობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნიდან მოსული ქვაგუნდა არ აღის სალითონო ქარხანებს. აი, ამით აიხსნება, რომ ერთ წელიწადს ბევრი ითხოვენ, მეორე წელიწადს ნაკლებს. მაგალითად 1887 წელს თითქმის ხუთ მილიონამდის წილეს, მაგიერად 1888 წ. ორ მილიონამდისაც აღარ წაუღიათ. დაცა ფასი და თავის ფასადაც აღარ გაცილა.

ჩენ მწარმოებლებს რადგან საკმაო ფული არა აქვთ და ვერც მოუტლიან მაზანდას, როგორც კი უცხო ქვეყნიდან დაიძვრის მოთხოვნილება, ჩენი მწარმოებლები, მშვიერი მგლებით, მიესვენენ კამისიონერებს და ჩალის ფასად ევაჭრებან, ოღონდ კი წაიღოს. ამ ნაირად ერთმანეთს უფუჭებენ საქმეს; გააქვთ კავკასიიდან მეტი, ვიდრე ევროპას ესაჭიროება და მაშინვე ფასიც თანაბრად ეცემა. ამ სახით რაც მეტი გააქვთ კავკასიიდან ქვაგუნდა, ისე ფასი მისი უკლებულობს, რაც ნაკლები, იმდენადვე მატულობს.

ახლა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ 1890 წელს, როცა ჩენ ექვს შაურს ოქროს*) (30 კ.) გვაძლევდნენ ფუთში, ავსტრია მაშინ ექვს შა-

ურს და სამკაბეის (33,4 კ.) ნახევარს იღებდა, გერმანია—31,7, ჩილი—33,6, სხვა ქვეყნები კი—41,7კ.

1891 წელს ჩენ გვაძლევდნენ ფუთში 33,2; გერმანიას კი 38,7 კ., ჩილის—33,7 კ. და ოსმალეთს—43,2 კ. ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ჩენ ქვაგუნდას ევროპისა და ამერიკის სალითონო ქარხნები მხოლოდ მაშინ გადმოხედდნენ ხოლმე მოწყალეობის თვალთ, როცა სხვა ქვეყნის ქვაგუნდა გამოეცემოდა, უმისოდ ზედაც არ შეზღუდვდნენ. დღეს ჩენი ბღია, რომ ჩილიდან გადმოტანა ზღვით ქვაგუნდას ძვირად ღირს; მაგრამ ეს ხომ ყოველთვის ასე არ იქნება. დღეს ჩილის ქვაგუნდა ხომალდზე დატვირთით, იქვე კიდებენ, აბაზზე მეტად არ ჯდება. როცა იგი შეიტყობს, რომ კავკასიაში გაიმართა ჭიათურის რკინის გზა და იქ ქვაგუნდა გაიფედაო, ამერიკის ფულიანი კაპანები მთელს საკუთარს ფლოტს გაიჩენენ ქვაგუნდის გადმოსატანად ევროპაში, რომ ზღვით გადმოტანა იაფად დაუჯდეთ. მაშინ ჩენს კავკასიის მარგანეცს (ქვაგუნდას) უცებ გაციყავს.

რატომ ამებზედ არ იფიქრა ჩენმა ჭკუიანმა რკინის გზის გაშვებამ, როცა საგზო სამინისტროში მოხსენებას ჰგზავნიდა მაღალი ტარაფის შესახებ. მაგრამ ჩენდა საუბედროდ ჩენის ქვეყნის პატრონებს ქართული ანდაზა სჭირთ: როცა ურევი წაიქცევა, გზას მაშინ მოძებნიან ხოლმე, მაგრამ რალა დროს. დღეს იმდენად ამაყად ეტყობიან ჩენ საქონელს საზღვარს გარედ, ინგლისში, საცა იციან კარგად ჩენი ქვეყნის გარემოება, რომ ვერ წარმოიდგენს კაცი... იმათ იციან, რომ ჩენს მწარმოებლებს საწარმოებელი ფული არა აქვთ, ისინი რჩებიან იმ ნახიხკლებით, რასაც ინგლისის კამისიონერი მიაწოდენს, იციან, რომ მათეობა არ აძლევს მწარმოებელს ფულს სესხათა, არაგის წარმოებისთვის გული არ შესტკივა, იციან, ინგლისის ფული რომ არ ტრიალებდეს ჭიათურაში, აქამდის ხუთჯერ გაუქმებდოდა ქვაგუნდის წარმოება და, აი, ანალოზშიაც ნაკლებს გვაძლევდნენ და თვით მადანშიაც. ისინი ხშირად ისეთს შარს მოგვდებენ, თითქოს ჩენს ხელმოკლეობას და უგუნდობას დასცილნაინ: „თქვენი მარგანეცი დაწოტიებულია და ამისთვის ამაზედ მეტი ფასი არ გერგებათო“. მეტი რა ღონეა, ჭიათურის მწარმოებელი უნდა დაკმაყოფილდეს იმას, რასაც მისცემენ, თითქოს სხვა ქვეყნიდან მოტანილი ქვაგუნდა არ სველდებოდეს გზაში და ეს თვისება მხოლოდ ჭიათურის ქვაგუნდას დასჩემებოყოს.

(შემდეგი იქნება)

*) აქ ჩენ ოქროზედ ვანგარიშობთ, ხოლო ქაღალდის ფულზე თუ ვიანგარიშეთ ათ შაურზედ ცოტა მეტი გამოვა ფასი.

გამოკრეფილი ამბები

მწყემსი* ცითხულობთ: „იფერი“-ში ამ წარსულ თვის რიცხვში დაიწყეს ხელის მოწერა შოთა რუსთაველისთვის ძველის ასაგებად. ამ საგანზე იმავე გაზეთში დიბეჭდა ბნის მეველეს მეთაური წერალო, რომელშიაც, სხვათა შორის, მადლობას უძღვინდა ერთს საპატიო უტხოველს პირს და ამბობდა, ვითომც მას პირველად აღძვრას ეს საგანი და მოგვანებინოს ქართველობისათვის დიდებულის პოეტის მიმართ დაეწიებული მოვალეობა.

„ეს უქანსკენლი გარემოება რომ ნამდვილი იყოს, მაინც და მაინც კარგს აზრს ვერ შეადგენდა ჩვენს გროგუნულს შემეცნებაზე, თუ გინდ თვით იგივე მართლაც და საპატიო უტხოველი, რომელმაც წელს სამიოდ მანეთი გაუზუნა „იფერიის“ რედაქციას რუსთაველის ძველისათვის.“

„ძოვავონებთ მეთხველს საზოგადოებას, რომ რუსთაველის ძველის ასაგებად ხელის-მოაწერა გამართული იყო უკვე 12 წლის წინად „დროების“ თაოსნობით (1881 წ.) და კიდევ შეიკრიბა მაშინ ამ ყოველდ სამპატიური საგნისთვის ორასიოდე თუმანი. შემწიწიველთა სიები წესიერად იმეჭდებოდა სხებულის განზე „დროება“-ში, რომელიც შემდეგ იყდა ს. მესხისგან პატიეცემულმა ი. გ. მაჩაბელმა. სხვა მოვალეობასთან ერთად ხომ არ გადასულა ბ. მაჩაბლის ხელში ზემოხსენებულის საგნისთვის მოგროვებული ფულიც?“

„ჩენი გულწრფელად გვეჯრა, რომ თუ ბნის მაჩაბლის ხელში გადავიდა, მაშინ ის ფული დღეს ნაშთაენით იქნება დანიშნულებისამებრ მომზადებული და თუ მის ხელში არ გადასულა, მაშინ ყოველივე იმედი უნდა გაღიწყითკოთა მისი კვალის პოენაზედაც-კი....“



იგივე გაზეთი სწერს: „ჩენი მკითხველები კარგად ცნობენ ბნ სამსონ თოფურის კერძო სამკურნალოს. დაარსების შემდეგ ბევრი მომაქვედავი იხსნა სიკვდილისაგან და ბევრს გაჭირებულს და მძიმე სნეულებით დაუადებულ სხეულს მისცა საშველი ამ საუადამოვომო. ბნ თოფურის საუადამყოფოს ვრცელს ანკარიშს შემდეგში შეიტყობს საზოგადოება. ხოლო ამ ქამად ამ ანკარიშიდან მოგვეყუს ზოგიერთი ცნობები.“

„სამის წლის განმავლობაში მოსიარულე ავადმყოფთა განყოფილებაში 11,547 ავადმყოფი მისულა

31,961-ჯერ. იქვე მოუხდენიათ 1065 გამოკლემა (ანალიზი) ნახველისა, თუ შარდისა და გაუციათ 320 მოწმობა. ამათგან უფსოდ მიულიათ 2706 კაცი, უფსო ანალიზი—195 და უფსო მოწმობა—141. მწოლიარე ავადმყოფთა განყოფილებაში ყოფილა სულ 551 კაცი; ამათგან უფსოდ მწოლიარე ავადმყოფი ყოფილა 183 კაცი: ქუთაისის მაზრისა—30; სენაკისა—62, შორაპნისა—24, ზუგდილისა—13, მოსურგეთისა—6, რაჭისა—4, ლენხუბისა—1, სუბუმიოს ოლქისა—6, ქ. ფოთის მცხოვრები—1 და ქუთაისისა—24 კაცი.

„ამ 183-ს კაცს სამკურნალოში გაუტარებიათ 3146 დღე.“

„სამკურნალოში მძიმე ოპერაცია გაუტყებიათ 208 და მსუბუქი 400-დ.“

„მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ თითო მისელა სამკურნალოში ღირს 50 კ., თითო ავადმყოფის შენახვა და წამლობა დღეში 3 მ., ანალიზი 1—2 მანეთამდე და თითო მოწმობა 1 მ., დღენახვით, რომ ბნ თოფურის სამკურნალოში 11,224 მანეთის შემწეობა აღმოუჩენია ქუთაისის გუბერნიის მკვიდრთათვის. მაგრამ ეს სიციფე მარტო ამ ჯამით არ აღირიცხება; ნუ დავიფიწყებთ, რომ სანამ ბნ თოფურია თათის სამკურნალოს გამართადა, მრავალი მძიმე ავადმყოფი, განსაკუთრებით ხირურგიულნი საექიმოდ ტფილისს, ან კიდევ უფრო შორს მიდიოდნ და დიდძალ ფულსაც ხარჯოდნ. დღეს კი ეს მეთი ხარჯი ქუთაისო არ არის და ავადმყოფს შეუძლია თვით აქუთაისში მოიპოვოს შესავფერი მრეულა და წამლობა.“



იქიდანვე გადმოღებულია: „ამ ქამად იხსნება დ. ყვირილაში წიგნთ-საკაცი, რომელსაც მოკლეს ხანში მომეტებთ სამკითხველო წიგნებისა და დრო გამოშვების გამოცემათა. აქვე შეიძლება მოიპოვოს მსურველმა ყოველგვარი წიგნი საკითხავი და სამოსწავლო.“

„განზრახული არის ძმობის დაარსება ყვირილის ახალ ეკლესიასთან არაგვეთის მთავართა დაჭაით და კოხსტახტახეს სახელზედ. ამ მომას ექნება საკუთარი წესდება, მართუა გამგეობისა და სხვათა შორის უმთავრესა ყურადღება ექნება მიქუეული წიგნთ-საკვის რიკათად წარმოების ადგილობრივ პირობათა თანახმად. ამ წიგნთ-საკვის და სამკითხველოს ექნება მიზნად გადღიღებულის და ხან უსასყიდლო ღირსძიებიათ მაიწოლდს მჭიდრთა და მანკიდლოთა ყოველგვარი გონებრივი ხარბო და განამტკიცოს მათ შორის კითხვისა და განვითარების სურვილი.“

„წესდება ძმობისა და ყოველი პირობები წყერად ჩარიცხვისა და მონაწილეობის მიღებისა შემდეგში ეულწყებთ მკითხველებს.“

მაი თუ ისე სოფელმა
მიწის ლოვანი დამიგოს,
რომ ჩემი მოსელა, ან წასელა
ერთმაც ვერაინ ვაივოს;
არც დამიტვიროს მამულმა,
არც წმინდა ძეგლი ამიგოს!

როგორც მგზავის მოკლე მინდორი
ერთ ასმით ვადაეაროს,
არც ვის აშბაფი ვეითხოს,
არც თვისი ვეზაიროს
და მის ნაეალი მინდერის ქარს
წაელოს, გაენიავოს...


ისე მე წაერხლედ და ქვეყნით.
შეუნიშვნელად ვაიდე.
ვერ ვაუშართლო იმედი,
რაც მოძმეთ გულში ჩაიდევს.
ჩემით ვერ წადგეს წინ ფეხი,
ვერც წყალზედ ხილი ვაიდევს.

თუ ვერაფერი საუნჯე
დაეაგდე ქვეყნის საღაროს,
და ისე უმაღურადა
გამოვეთხოვე სამყაროს,
სამშობლოსა ესთხოვე ნუ დამწყვეტელს,
ეს უბედობაც მაკმაროს.

სანამ დაეტოვებ სამზევოს,
ვეცდები წმინდა სახელი
იმ ბნელს უმზეო მხარესა
აეინთო, როგორც სანთელი;
თან გაიფოლო სხეებიცა,
ჩემგნით გზა ჰქონდეთ ნათელი!

თქვენც ნოჩნო, ვინაც ქვეყნის სახლს
ჰეუქრობთ შეუღვათ ბოძები,
მაგრა იარეთ, მამულსა
ნიჭი, ცით მონაბოძები,
არ დაუკარგოთ და ვახდეთ,
საწყველი, შესაჯადები!

თ. რაზაკაშვილი



სამეურნალო მეცნიერებისათვის წამებულნი

(ტისანდიდან)

„სიყვარული ჩვენი მეცნიერებისადმი და კაცობრიობისადმი განუყოფელი არიან.“

პიპოკრატი

მარიის ერთს ბავშვების საეადმყოფოს ეზოში ამაღლებულია ერთი პატარა ძეგლი, რომელზედაც აწერია ოთხი ექიმის და ერთი გულმონაყალე დის სახელი. ცოტა ქვემოთ კი შემდეგი წარწერაა: „დასდეს თაენი თვისინ ავადმყოფ ბავშვების მოვლაზედ“. ეს მკირე წარწერა მოგვითხრობს იმ დიდ სულოვან გვაიმებზედ, რომელთაც თავი დასდეს მოძმეთათვის. აუღლებელად ვერ წაიკითხავს კაცი ამ ზედწარწერას.

ხუნავი უზმოზს ბავშს სუნთქვას და ასალმებს წუთისოფელს მრავალს. თავ-განწირული ექიმები გამოსწოვენ ხოლმე ბავშვებს ხუნავის აფსკას (ложная перепонка), რომელიც მათ უშლის სუნთქვას. მაგრამ ბევრჯელ ამ გვაირი ექიმი თვითონვე ჰხდებოდა მსხვერპლი ხუნავისა. ამ გვაირ თავ-განწირულების მსხვერპლად შეიქნა ყოლიგისა, რომელსაც უნდოდა ერთი ბავში გადაეჩინა სიკვდილს. მაგრამ ამ უღმობებელმა სენმა თვით მასვე მოაუღო ბოლო 1866

წელსა. მის გადაცელებზედ ცრემლებით სასევთვლებით წარმოატევა სიტყვა მისმა მეგობარმა ექიმმა როკერმა. იგი ცოცხლად გეხატავს თავის მეგობრის თავ-განწირულებით მოქმედებას: „სხვის შემზარაღეს და თავის გაუკითხავს ყოლგეს არ ეძინა არც დღე, არც ღამე; პირველ დაძახებაზედ იქ დაიხადებოდა, სავა სავაო იყო მისი დაძახება. ამ ბოლო დროს ყოლგე მიიწივებს სოფელში ხუნავიან ბავშვის მოსარჩენად. ყოლიგემა ბავში თან ჩამოიყვანა პარიკში მიუხედავთ იმისა, რომ შესაძლო იყო ადვილად გადასდებოდა ბავშვისაგან ავადმყოფობა. ამისთანა თავ-განწირულობამ ბოლო მოუღო იმას. ჩავარდა ლოგინათ და ცოტა ხანს შემდეგ გადაიცვალა. სიკვდილის ქვამ ის გამოეთხოვა კოლშელს და დაითხოვა სახლიდან, რომ არ ეუფრებინათ იმის ტანჯვისთვის და დასწერა ქალაღზედ შემდეგი სიტყვები, რადგანაც ლაპარაკი აღარ შეეძლო: „ახლა კი მოკვდები, მშვიდობით“. ზენარ-მადლიანმა ყოლიგემა გმირულად შესწირა თავისი სიცოცხლე მედიკინას (მეურნალობას) და სულით განათლებულმა ტკბილად დალია თვისი დღენი.

ახალგაზდა ექიმი ვან-ბატისთ-ფირარი, ხუნავიან ბავშს „ავარკეთის“ უშვრებოდა, დანაზედ შეიჭრა ხელი, რამდენიმე სისხლის წვეთი თვალშიაც მოხედა.

მიეღა თუ არა შინ, ცოლს გამოუტყადა, რომ იმისი სიცოცხლე საეჭვოა, რადგანაც მას ხენაგი შეხვდა. მართლაც გავიდა რამდენიმე დღე და ახალგაზრდა ექიმი გადაიკვალა. იგი დაიბადა ეოლევიკში, (საფრანგეთში) იქ, სადაც პირველად თეოლი აახილა დიდებულმა პასკალმა, და თავის ხან-მოკლე (27 წ.) სიცოცხლეში მართლად ბრძნულად ებრძოდა ყოველს სატიკიერს. ბერის ამისთანა თავგანწირულების მაგალითებს ჩაზოვთვლიდით კიდევ, მაგრამ სიტყვა რომ არ გავა-



მეურნალი ვეზალი

გრძობთ, ჩვენ მხოლოდ ერთ ღირს შესანიშნავს მაგალითს მოვიყვანთ. ჟან-ბატისტ-ლაივლი დაიბადა ტულ-უზაში (საფრანგეთში) 1824 წელს დეკემბრის 25 და იყო შეილი ლატაკი ხარაზისა. სამხედრო სამახანოში უბრალო მეომრად შესვლის დროს იგი თავისუფალს დროს კითხულობდა მეცნიერულს წიგნებს. თავის ნიჭიერებით და მეცადინეობით იზოდუნა ცოდნა შეიძინა, რომ ის უბრალო მეომარი გახდა საავადმყოფო ვალდევრასის უფროს ექიმად. ცოტა ხანს შემდეგ მიან გაიგო, რომ აღმოსაფლეთში ჭირი გაჩენილა და საქაროდ გაემგზავრა სენთან საბრძოლად. ათის წლის თავგანწირულის ბრძოლით მიან შეაყენა ჭირი და ისევ დაბრუნდა საფრანგეთში. 1874 წ. ესევე ჭირი გაჩნდა ტრიპოლისში და ჩვენმა ექიმმაც იქით გასწია. ამ დროს გაიგო, რომ ბენგაზის მიდამოში ესევე სენი მუსრს ავლებდა და ახლა იქით გაემგზავრა შეშინებულის ხალხის საშველად. ამდენს შრომას და შემთხვევას ველარ გადურჩა და თვითვე გახდა მსხვერპლი ამ საშინელის სენისა.

როდესაც ვატი დაიწყებს მოთხოზბას იმ გმირებზედ, რომელთაც თავი დასდეს სამეურნალო

მეცნიერებისათვის, არ შეიძლება გამოეტოვოთ განთქმული დეჟენტი.

დეჟენტი ჯერ უბრალო ჯარა ექიმი იყო, შემდეგ ნაპოლეონმა დანიშნა ის უმთავრეს ექიმათ იმ ჯარისა, რომელიც მიემგზავრებოდა ეგვიპტეში. ეგვიპტეში ამ მეომართ დავრია ჭირი, დეჟენტმა აქ

ღიდი სიხვნე გამოიჩინა, ყველას ამაგრებდა და ამშვიდებდა, ნურაფრისა ნუ გეშინია - თო. როდესაც ერთმა ჭირით ავადმყოფმა სთხოვა, რომ მისგან მიცემული წა-

მალი გავყო და ნახევარი თვითონ დაელოა, რადგანაც იგი ვერ დარწმუნებულეიყო, რომ დეჟენტისაგან მიცემული წამალი უარესობას არ დამართებდა, მან აიღო წამალი, გაჰყო და ნახევარი თვით დალია. ამ მაგალითმა ყველა იქ მყოფი გააკვირვა და გაამაგრა. 1805 წ. ის გაგზავნილ იქნა ისპანიაში ახლად გაჩენილის ეპიდემიის (გადამდები სენის) შესაჩერებლად, რომელიც მუსრს ავლებდა კადიქსს, მალაგას და ალიკანტეს. შემდეგ იგი თან დასდევდა მულამ ნაპოლეონის ჯარს პრუსიაში, პოლშაში და რუსეთში. რუსეთში ნაპოლეონთან ომის დროს ის შეიპყრეს ტყვეთ. ომი რომ მოისპო, მას შემდეგ მიან სთხოვა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს განთავისუფლება. ალექსანდრემაც შეიწყნარა მისი თხოვნა და გაგზავნა საფრანგეთს. 1830 წ. რევოლიუციას შემდეგ ის გახდა უფროს ექიმად „ინვალიდთა სასახლისა“. გადაიკვალა 75 წლისა.

1875 წელს ისპანიაში ომის დროს სწორედ რომ გმირულად მოკვდა 25 წლის ლეონ როსი. გაცხარებული ომის დროს იგი შეგლოდა დაჭრილებს. ამ ყოფაში მიან ვერცე მთაშნია მტრის მოახლოება. მღიღელი, რომელიც იყო მასთან, გაიქ-

ცა, მაგრამ როსი არ გაჰყვა თან. როდესაც მტრის ურდო თავს წაადგა, მან აუფრიალა ხელსახოცი და დაუყვირა: „შეიბრალეთ დაჭრილები, თუ ერთი ბეწუა არის პატივისცემა გაქეთ ისპანისა*“.

მაგრამ იმ წუთშივე რამდენმამე გახურებულმა ტყვიამ ჩააყვინძინა ხმა კაცთ-მოყუარე ლიონ როსსა.

ბიშა, რომელიც ითვლება მედიცინის უკეთეს წარმომადგენელად, ვახდა ავრეთე მსხვერპლი ამავე სიყვარულისა მეცნიერებისადმი. ერთხელ იგი ჩვეულებრივად შემოიბრძნა საფაფქოვოს ოთახში. იმას უნდოდა გაეგო, თუ რა ცვლილება ჰხდებოდა კაცის სხეულს



მკურნალი ჰორას ველსი,

გახრწნის დროს, ამ საყურადღებო საქმემ გაიტაცა ბიშას აზრი და გონება და ამიტომაც ის დიდი ყურადღებით შინჯავდა ყოველს ცვლილებას. ამ საქმემ სასიკვდილო გავლენა იქონია იმაზედ. საქმეს რომ მოჩია, შემდეგ წამოვიდა და კიბეზედ ჩამოსვლის დროს, უცებ გული შეეწუხდა და რამდენსამე დღეს შემდეგ სიცოცხლეს გამოეხალმა. „ბიშა გადაიცვალა ჯერ ისევ ყმაწვილი, მაგრამ იმდენი სარგებლობა მედიცინისათვის ჯერ არავის მოუტანია ასეთი მოკლე ხნის სიცოცხლეში, როგორც ბიშასა, — ამბობს კოკიეზარი.

კოტე ამირჯვები.

(შამდგვი იქნება)

მკვლეი დავა ახალ ქერქში

ნა სწავლა განათლება გეგზარაა?

(დასასრული*)

უმცალა ბნ მეველის ზემოხსენებულ აზრებში მწელი გამოსაცნობია, რა მიაჩნია მას (ბნ მეველს) არა არსებით სავნად, რომელს თელის არსებითად და რას უწოდებს დლიურ ვარამს; მაგრამ იმას კი მაინც მიხედვებით, რომ ბანი მეველე უჩჩეს ქართველ განათლებულ ახალგაზღობას: თქვენი მოვალეობაა შეისწავლოთ ჩვენი ისტორიული და თანამედროვე ცხოვრება, განავითაროთ სამშობლო ენა, ეცადოთ ჩვენი ერის ზნეობრივ და გონებრივ წარმატებაზე და აღადგინოთ მისი მოკალაქობრივი მზნეობა... დიად, მიხედვებით, რომ,

არა თუ მარტო ქართველის, ყოველი განათლებული კაცის მოვალეობად ეს მიჩნია ბნ მეველს, რომ თეთონ ბანი მეველე არ გიბნევედს ზეაკვალს შემდეგი სიტყვებით: „ქართველმა ახალგაზღობამ უნდა იცოდეს, რომ ქვეყანას არსებითი საფუძვლის მცოდნე კაცები სჭირია ამ ქამად, ესე იგი, ისეთი მომზადებული, განვითარებული და სწავლულნი, რომელთაც შეეძლებათ ქვეყნის სიმდიდრის მომატება. ეს სიმდიდრე დაკულოა ბუნებრივი მდიდარის საქართველოს ნიადაგში და ამ ბუნების შესწავლას უნდა მიმართოს საქართველოს ახალგაზღობამ.“

ახლა მოუყარეთ ბნ მეველის ზემოხსენებულ აზრებს თავი ერთად და შედარეთ ერთმანეთს, აი, რა გამოვა: ახალთაობის შესახებ საყვედურს თუ რაიმე საფუძველი აქვს რუსეთში, იგივე საფუძველი უნდა ჰქონდეს საქართველოშიც, რადგანაც რუსეთისა და საქართველოს ახალგაზღობა ერთსა და იმავე სასწავლებლებში სწავლობენ ერთი და იმავე პროფესორ-

* იხილეთ „ქვალის“ მე-32 №-რი.

რების ხელმძღვანელობით. ძირითადი განსხვავება არისებობს რუსეთის და საქართველოს განათლებულ თაობათა შორის. რაც შეუძლია და შემენის დიდს, დამოუკიდებელს სახელმწიფოს (რუსეთის), იგი არ შეუძლია პატარა საქართველოს, — საქართველომ დღევანდელი ვარაზენ უნდა იზრუნოს. ყოველი ქვეყნის (დღისაც და პატარასიც) და განათლებული თაობის მოვალეობაა შეისწავლოს აწმყო და წარსული თავის ერისა, განავითაროს თავისი ენა, აღადგინოს მოქალაქობრივი მხნეობა, შემატოს ერს სიმდიდრე, ზნეობა და კმაყოფილება. მაგრამ ეს მოვალეობა ერთი ასად საყურადღებოა ქართველი განათლებული თაობისთვის (წელან კი ამას ეუბნებოდა ბ-ნი მეველე ქართველ ახალგაზრდას, რომ შენ პაწაწინა ხარ, რა შენი საქმეა სხვებსაეთი აზროვნება და მოქმედება; ახლა კი ეუბნება: შენ აჯელ უფრო ბევრი უნდა შეიძლო ყველა ესე, მინამ სხვა ქვეყნებ-მა!). საქართველოს სიმდიდრე და ცუდია ბუნებითად მდიდარი ნიადაგში და ამიტომ ქართველმა ახალგაზრდობამ, ბუნების შესწავლას უნდა მიჰყოს ხელიო. ახლა-მიბძანეთ, რომელი ერთი იხელმძღვანელოს ბ-ნი მეველის აზრსაგან ქაოველმა ახალგაზრდობამ, რომლის სახელმძღვანელოთაც სწერს ბ-ნი მეველე თავის წე-რილს.

ახლა მივაქიოთ ყურადღება ბ-ნი მეველის სიფთხილეს მახე, რომ როგორმე უმეტ-ნაკლებოდ განაწილდეს ქართველი ახალგაზრდობა, ბუნების შესწავლაში და არ მოხდეს, რომ ერთს სკამზედ ათი იჯდეს და მეორეზე კი მეტი, ანუ უფრო მდბიურად რომ ეთქვათ — არ მოხდეს, რომ ტენოლოგიას სწავლობდეს ათი და აგრონომიას კი თერთმეტი. უმკველად ტენოლოგებიც იძღენი უნდა გვეყვდეს, რამდენიც აგრონომებია. თქენი მტერია, ამ აზრით რომ ცხელ-მძღვანელებია კაცობრიობას, აღარც შექსპირი ეყო-ლებოდა, აღარც დარენი, აღარც კონტი და აღარც სხვა გენიოსები! ეინ იცის, იქნება შექსპირისთვის ეთქვათ: „პოეტების რიცხვი შეცნებულია, შენ მტერი ხარ იქ, სტატისტიკოსების რიცხვი აკლიო და იქ წაეყვანა. ესევე მოსკოლადი და რენის, კონტს და ათას სხვას, რომლებთაც დღეს იენ მოსწონს კაცობრიობას თავი. როგორც ეტყობა, ბ-ნი მეველე ბუნების შესწავლას იმიტომ ურჩევს ჩვენს ახალ-გაზრდას, რომ სურს მისი (ჩენი ერის) ქონებრივის მხრივ უზრუნველყოფა. კარგი. ეთქვათ, როცა რომელიმე ერის ქანებრივი მხარე უზრუნველ ყოფილია, იმ ერისთვის მწელი აღარ არის დაწარჩენი მხარეების, მავალითად გონებრივის, ზნეობრივის და ფიზიკური განვითარება. მაგრამ იმ საშუალებით, რომლისკენაც ბ-ნი მეველე გვიშვებს ხელს, ესე იგი აგრონომების, ინჟინერების, კაპიტალისტების (მაშ აგრონომი რე ინჟ-

ნერი უკაპიტალოდ რის მაქნისია!) და სხვა მისთანების გაზრდებმა განა ერის საზოგადო სიმდიდრეს მოასწავებს? განა ცოტანი არიან ინგლისში ასეთი სწავ-ლებული და მოღვაწენი? მერე თუ არიან და ინგლისი განა მდიდარი არ არისო, ევეი არ არის, მკითხავს ბ-ნი მეველე. მართალია, ინგლისის ერის ერთი ნაწილი მდიდარია და ძლიერ მდიდარიც. მაგრამ ერთი უმც-რისი ნაწილი ერისა და არა მთელი ერი. მერე რა-ში გამოადგა ერთი ნაწილის სიმდიდრე მეორე ნა-წილს, პროლეტარებს, რომლებიც აქა-იქ ქუჩებზე შიმშილით იხსცებან იმ დროს, როცა რომელიმე მდიდარი ლორდი, ან ბურჟუა დღიურად თუმშობით ხარჯავს თავისი ძაღლის სარჩენად? ცოტა ჰყავს ზურანგეთს „არსებითი სავნების“ ანუ „ბუნების მკო-დენე“ კაცები, რომ შიმშილისაგან გაბრუნებული პრო-ლეტარები (ლატაკები) ყოველ წაშში დაშობდა უბი-რობენ სახელმწიფო წეს-წყობილებას? ცოტა არის სტერ-მანიაში ლატაკები და სწავლებლები, რომ დღეს თითქმის იქაურია საუკეთესო ინტელიგენციის ყურა-დღება მიიქცია ლატაკების უნუგეშო მდგომარეობამ? ან კიდევ თითონ რუსეთში, რომლის შესახებაც ბ-ნი მეველე ამბობს, რომ შეუძლია წლიურად ათი ათა-სი განათლებული კაცი არა არსებით სავნს მოახმა-როსო. განა ცოტა არის ინჟინერები, კაპიტალისტები და აგრონომებიც, რომ იკო-ოცდა-ათი მილიონი ხალხი სიმშილით გაჭირებული იყო და დღესაც ბე-რია გაჭირებული? თუ ერის ლატაკ ნაწილს ყურა-დღებასაც არ აქცევს ბ-ნი მეველე და მხოლოდ იმ ნაწილზე ზრუნავს, ეისაც უიბისოდაც ბევრი არა აკლია რა, ზრუნავს იმაზე, თუ რა საშუალებით შეი-ძლება, რომ იმას, ეისაც იცდა-ათი ათასი მანეთი აქვს წლიური შემოსავალი, როგორმე სამოცი ათა-სი გაუხდესო? იქნება ზოგიერთებმა მიპასუხო: ჩენი ქვეყანა იმდენზე მდიდარია ბუნებითად, რომ, თუკი შეეიმუშაებთ, ყველას გვეყუფა და სრულიადც არ დაგვემართება, რაც ენოპას სჭირს, ესე იგი პროლეტარები (ლატაკები) არ განჩდენიან ჩვენშიო. ამ პასუხის პასუხად, ან რას მოვამხებთ: ამერიკის შეერთებული შტატები იმდენად მდიდარია, რომ სა-ხელმწიფო ხაზინის მართელობა გამოაცხადა: „ძლიერ ბევრი ფული მოგროვდა ხაზინაში, დასახარჯი გზა არსად ჩანს და რა ეუყათო“. მაგრამ შეერთებულ-შტატების ერის ერთ ნაწილს და კარგად დიდ ნაწილ-საც სიმშილით ეკუთ ეწვის და არაფერში გამო-სდგომია ბურჟუაზების სიმდიდრე. საუკეთესო პოლი-ტიკო-ეკონომებმა მეცნიერულად, ისტორიული ფაქ-ტებით დაამტკიცეს, რომ იქ, სადაც კაპიტალიზმი და მრეწველობა ეხლანდელი ეკონომიური და სოცია-ლური წეს-წყობილებით ფეხს გაიდგამს, ერის ერთი-ნაწილი ლატაკებმა და ვარდებმა მეორე ნაწილის ხელში ეკონომიურ მონადო.

იქნება ვინმე ჩემი სიტყვებიდან ის დასკვნა გამოიყვანოს, რომ თითქმის მე ეპიპობადე: ეცადლოთ, რომ ჩვენ ქვეყანაში ფეხი არ მოიკიდოს კაპიტალიზმმა და მრეწველობამ მეთქი. არა, ბატონო, მე ამას არ მოგახსენებ. კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მძინარეა, რომ თუნდა კიდევ ძლიერ მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებთ და უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება, არა თუ საქართველოსათვის, არც ერთი ქვეყნისთვის. მე იმას მოგახსენებ, რომ ყოველი განათლებულა კაცი, ყოველი ინტელიგენტი, რომელსაც მართლა გული შეესტკეოა თავისი ქვეყნის ავ-კარგაინაობაზე და ბედობაზე, ამ თავითვე უნდა ცდილობდეს, რომ სიმდიდრეში და წარმატებაში წილი ეღოს არა ერთ რომელსამე ნაწილს ერისას, არამედ მთელს ერს გამოუკლებლად და თანასწორად. უამისოდ ერის წარმატებას წარმატება არ ეთქმის; ის არ არის ხანგრძლივი, საუფქელიანი და ქეშპარიტი. საუკეთესო ისტორიკოსებმა ღიღინა ალიარეს, რომ ძველი სახელმწიფოების, მაგალითად ასირიის, ბაბილონის, საბერძნეთის და რომის ცივილიზაცია იმიტომ დაემხო, რომ მასში (ცივილიზაციაში) წილი ეღო მხოლოდ ერის ერთ ნაწილს, დანარჩენი, უმეტესი ნაწილი ერისა კი უნაწილოდ იყო დატოვებული. იმიტომ არც ცდილობდა მისთვის უსარგებლო ცივილიზაციის წარმატებაზე და გულ-გრილად უტკეროდა მის დაშობას. განათლებული ნაწილი ჩვენი ერისა იმაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, თუ როგორ ამოთხაროს ჩვენი ქვეყნის ნიადაგიდან ოქრო-ვერცხლი რამდენიმე კაცის გასამდიდრებლად, არამედ იმაზე, რომ შექმნას ისეთი საზოგადოება-სოციალური-ეკონომიური წეს-წყობილება, რომ ერის ყველა ნაწილს გამოუკლებლად და თანასწორად შეეძლოს ფიზიკურად, გონებრივად და ზეგობრივად გაუმჯობესობა. ამისთვის ჩვენი განათლებული თაობის დაუჯა, დაქუცმაცება და ცალცალკე სკამზედ ჯდომა კი არ არის საჭირო, არამედ შეერთება და შეერთებული ძალით მოქმედება. და მართა მეურნეები და ინჟინერები კი ვერ შეადგენენ ქვეყნის ძალას და ბურჟუა, არამედ ყველა განათლებული პირი, რომელიც კი შეგნებულად იღწის თავისი ერის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის, ინჟინერი იქნება ეს განათლებუ-

ლი მოღვაწე, იურისტი, მეურნე, თუ ფილოლოგი, ეგ სულ ერთია. ამიტომაც ის კი არ უნდა ეურჩიოდ ახალგაზღვობას, რომ, გინდა თუ არ გინდა, უტკველოდ მეურნეობა უნდა შეისწავლო, რადგანაც მეურნეების რიცხვს რამდენიმე კაცი აკლავს, არამედ უნდა ევეუბნებოდეთ: შეისწავლეთ ის მეცნიერება, რომლისადმი გრძნობთ მოწოდებას, განავითარეთ ის ნიჭი, რომელიც ღმერთს მოუცია, დაადგით იმ საქმეს, რომლისადმი გრძნობთ ტოტოვითებას, იღონება და გახსოვდეთ და მუდამ უნდა ხელმძღვანელობდეთ იმ აზრით, რომ თქვენი სწავლა ქვეყნას უნდა ემსახურებოდეს. ის საქმე, რომელსაც თქვენ ემსახურებით არ უნდა იყოს ზნეობრივი პრინციპის წინააღმდეგობა. თქვენი ზეგობა არ უნდა იყოს თქვენი პირადი ინტერესების და მხოლოდ თავის თავის სამსახური, არამედ უნდა იყოს გამოსადეგი ქვეყნის წარმატებისთვის. ირჩინეთ თავი ისე, რომ თქვენ განათლებულ სარჩო-საზადებელში არა გავიროს რა ისეთი გზით მოპოებული, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობას და გონიერებას. განვივიარებ ის აზრი, რომ ჩვენი უამეშვიკებს* ავრონამები არა ჰყავთ ოჯახში და ამიტომ ჩვენი ახალგაზღვობა უტკველოდ მხოლოდ მეურნეობას უნდა სწავლობდეს, ან კიდევ ჩვენ მთებში ბეგერი მადანია და ამიტომ ინჟინერები უნდა გავამრავლოთ, ქეშპარიტებსა მოკლებულია. ჩვენი ქვეყნისთვის საჭიროა ყველა განათლებული კაცი, რომელიც კი გულწრფელად და გონიერულად იღწვის ისეთი საშვადების გამრავლებაზე, რომლის მოწყალებით ერის ყველა ნაწილს წილი ექნება წარმატებაში, როცა ყველას შეეძლება განვითარდეს ფიზიკურად, გონებრივად და ზეგობრივად. ის პირი, რომელიც არ ზრუნავს ამებზე, რომლის მოღვაწეობას არ შეადგენს ერის ყველა ნაწილის წარმატება, რომელიც ამბობს: მაკათ, ჯერ ჩვენ, ერთი ნაწილი ერისა, გავმდიდრდებით, ვავითარდებით და შემდეგ ერის დაზარალებულ ნაწილს მივატოვებ უსრულდებასო, საზოგადო მოღვაწედ არ ჩაითვლება, რომელიც გინდა მეცნიერება ჰქონდეს შესწავლილი. ასეთი პირის აზრი და მოქმედება არავფრთხველად განსხვავდება იმ ვაჭრის აზრიდან და მოქმედებიდან, რომელიც თავის სოციალურში თავის ჯიბის გატენაზე ფიქრობს და როცა მილიონერი გახდება, თითო-ორჯოლა გროშს იღებს საქველმოქმედო საქმისთვის.

გ. ნინოშვილი

ქ ე ბ ა თ ა - ქ ე ბ ა



აუკარ, სტიროა, დაუკარ, აელკრად, გამახარეო. ძეყო, რაც ვიგზლოვიაჩრ და რაც სრემლები ეღვარეო.

ვახსენოთ ერთხელ კიდევ ჩვენი ლამაზი მხარეო. ღმერთო უშველე ტურფასა, გზა გაუნათე მთავრე! ბებრჯელ სდენია ზღუად სისხლო, დღე დასდგომია მწარეო.

შენ, ბელო ჩემის ქვეყნისა,
გამომიბრწყინდი ბარეო!
რად მიჰრბი, რად მემალეები,
ღრუბელს რად მოეფარეო?!
რატომ არ დამენახებები
სხიე-მომფენელი ვარეო!?
დღეს თუ არაფრათ ვარგვივართ,
იქნებ გამოვდგეთ ხელეო.
რადა ხარ წელში მოხრილი?
აიწი, აიხარეო!...

შიილები წამოგეზარდენ,
სამშობლოე, გაიხარეო!
შენი წყლულები გულს უწყლავთ,
ნატრობენ შენთვის კარგასაო,
მიგრამ ხელს რაღაც არ სძრავენ,
არ გიმეტირებენ ბარგასაო.

ზოგია—ადეოკატია,
ზურგზედ ტყავს აძრობს ხალხსაო.
და ატრიალებს, როგორც ქსურს,
ყველგან სამართლის ჩარხსაო.

ქორს ქათამს წაალებინებს,
პატრონს შეაკმევს ძალოსაო.
ამ საქმეს წესიერად სთელის,
მიტომ არ იხრის წარბსაო.

მეორე მხედარი არის,
დაახაკუნებს ხმალსაო;
და თუ უბძანეს, იცოდე,
წინ-წინ შენ მოგთხრის თელსაო.
დედაც მტრად მოეჩვენება,
მაზეც იხმარებს ძალსაო.

მესამე „აქციჰნი“ არის,
გვიშლის არაყის წურეასა.
როცა „პროტოკოლს“ გვიყენებს,
შიექს გოდება - ურეასა:
„ჯარიმა ბლომად წაგერთმის
„ჩემი არ არის ბრალიო,
„მე ჩემს სამსახურს ვასრულებ,
„ესაა ჩემი ვალიო.“

მეოთხე ბოქოულია
მსახურებს გულიანადა:
მოჩივარ-მოპასუხესა.
ორსავე მიჰმეყვს კარგადა.
მათრახის, მოშტის ტრიალი
სენო მან ხალხის წერთნის დარგადა.
ვარია თივა და ქერი
სოფელს დაეცაო ხარჯადა.

მეხუთე მგოსნობს, თუმც ისიც
სიმებს აქლერებს მრუდეთა;
გახადეს მუხის პატრონი,
აღ-ეშმაკების ბუდეთა.
აღარენ გადგას, ბედ-კრულო,
ციხე-გალანადა, ზღუდეთა.

მაზრის უჯროსიც უჯროსობს,
მიდის და მოდის ყველგანა.
აკეთებს რასმე, თუ არა,
მას არა ეთქმის ჩვენგანა...

მასწალებელიც ასწაელის,
პატარაების მწერთნელია;
ბოღმა ჰკლავს ბეჩაეს, თუმც წყლული
ვერისთვის გაუმხელია.
ასწაელის, მაინც ასწაელის,
უკან არ დაუხევი,
არა ღროს ვასაფრეწელი
იმას არ გაუხევი.
თვისი პატარა არსება
ბოღნაში შაუხევი,
თვისი უმაღური ხელობა
იმასაც დაუწყევი.

თავაღიცი ველარ თავაღობს,
ჰგოდებს და სტირის მწარედ,
შესტირის მამა-პაპასა:
„მეც თქვენთან მიმიბარეთა.
„რალა ჩემი სიცოცხლე!
„ველარ გასულეარ ვარეთა;
„სახელი დამჩრა სახრავი
„ალარსიღამა ჩნდებო.
„თქვენ ფუფუნებით ცხოვრობდით,
„გული ამიტომ კვდებო.“
აღებმა გაჯარებულთი,
ისიც მუღამ დღე თერებო.
ქვეყნისთვის გამოსადეგი
გრძნობებიც აღგვხებო;
მიგრამ გულშივე უკვდებო,
ვარეთ არ გამოჩნდებო.
ღროებამ იცის ტიაღმა...
ვაი, დედაო, დედაო!
ამით ეათავებ სათქმელსა
მეტის თქმას ვერა ვებედაო.


გლენს არა ეზღვის, იმასა
საცი, აქამე ბლომადა.
იმ თავის ქობ-მახსა ვარეთ
საქმეს ნუ მისცემ შორადა.

სულის შეხუთვის ჰგოდებო, გამიგონია ჭორადა. მალალ ფარდებში ვერ ფრინავს, მოარულია სწორადა. ხელს არ აიღებს გუთანზე, თუნდა გაჰკაფო ორადა. ბეგრს თავსაც არ აიტკივებს,

თუ არ სცნობ თავის ტოლად. მას აღარ ახსოვს ძველთ ფიცი საქმეში წინამძღოლადა: „ვინაც მტერს მტრულად არ დახედეს, დედა შერთოს ცოლადა!“

ვაფ-შაველა

(შემდეგი იქნება)



თაზო მოძღვრადი

მოთხრობა



აღვან მანუჩარ მძღვრადე ისეთ ყამს დაქე-რიოდა, რომ მეორე კოლის შერთვის დრო აღარა ჰქონდა, შეილების პატრონად დედიდა მოჰგვარა. ეს იყო საღმრთო საერთო განვიცარებულ-ლი დედა-კაცი და მანუჩარის ოჯახის პატრონად, რადგან მანუჩარ ნახევარზედ თავის ხელობის გამო მეფეს ახლდა ხოლმე...

აღვან მანუჩარ მძღვრადე ისეთ ყამს დაქე-რიოდა, რომ მეორე კოლის შერთვის დრო აღარა ჰქონდა, შეილების პატრონად დედიდა მოჰგვარა. ეს იყო საღმრთო საერთო განვიცარებულ-ლი დედა-კაცი და მანუჩარის ოჯახის პატრონად, რადგან მანუჩარ ნახევარზედ თავის ხელობის გამო მეფეს ახლდა ხოლმე...

თინათინ და მინაღორა თავიანთ ოთახში დასა-ძინებლად შევიდნენ, ცალ მხარეს მინაღორას იმე-დისეულმა ორთავე ტანთ გაახდენინა და მინაღორამ წასწორებულა: — „ახლა შენ იცი“ და ჩაწვა ქვეშაგებ“ ში. თინათინმა მალე ამოუშო ხერინვა, რადგან დღა-ლული იყო და მინაღორას თვალებს კი ძილი არ ეკარებოდა, გული უშაგმაგებდა და რაც გააფაჩუნებ-და, ეს იმპალიდან თავს მაღლა წამოიღებდა. ნახევარი საათი არ გასულა, რომ იმედისეული ფეხ-აკრფვით შემოვიდა და მინაღორა ხელით გაანძრია, ეგონა, ჰსძინავს, საჩქაროთ წამოფრინდა, კაბა გადაიკცა და ხმა-ამოუღებლათ გაჰსწივე ბაღისაკენ კარები იქვე ახლო იყო. მინაღორამ ჰკითხა: „მინდ არის?“ ღილა. „შენ აქ კარებიან და ჯეჯე და თუ მო-ლიოდეს ვინმე გეაწნობე.“ — ეინ შემოვა? ხალხი ჰქრებნებივითა ყრიან. მინაღორამ ცოტა რომ გაი-რა, ვარდის ბუჩქებიდან თაზო გამოეკენა, დაიბოქა და წარბოსთქვა: — განა ამ დღესაც შვესწარ?! მინა-ღორამ მიუგო: „აღექ, რას შერბი, მანდამდის თავს რათ იმბაღლებ?“ — მეტი რის ღირსი ვარ? შენი ფერხთა მტერი, შენი თაყვანის მცემელი. მინაღო-რამ ხელი მოჰკიდა და ააყენა: „მე საქმეზე მინდა მოგელაპარაკო.“ — მიბრძანე, ჩემი თავი მსხვერპლად როგორ შემოგწირო და მშათა ვარ. შენმა ერთმა შემოხედვამ დამატყვევა და დაუშრეტული ცეცხლი ამიგზნო და თუ შენ გულისა მისკარებია მცირედი ნაპერწკალი მაინც და სიყვარულისა, ხომ შემებრა-ლებ. იცი რა გითხრა, თაზო! სჩანს ჩემმა გულმაც თანამიგზნო, რომ აღარ ვერიდები სირცხვილს

და პატრონების რისხვას, მეც ჩემს გულში გადაე-სწყვიტე, რომ ჩვენც საუკუნოდ ერთმანერთისანი უნდა ვიყვნეთ. შენთან მოლაპარაკებას იმისთვის დავე-შურე, არ გაგესწრო და თუ შენი სურვილიც იქნე-ბა, მე შენს მეტი ქმარი არ მინდა.“ თაზომ გამოჰ-სტაცა ორივე ხელები, მიიწვა ტუჩებზედ დაჰკოცნა და უთხრა: — დმერთა რა მადლობა შეგვსწირო, რომ მე ამ ბედნიერ ვარსკვლავზედ დაგებადებულვარ, მაგრამ მე ეხლავ ის კი უნდა გაგიტყდეს და გითხრა, ღირ-ბი აზნაურ-შეილი ვარ, ერთი მოხუცებული დედა ჩყავს და იმ სოფელში ედგევარ, მთისკარს რომ ეძახიან. ვაი თუ ვერ გასძლო და ნაკლებულობა ვერ აიტანო და ბოლოს შემოძლო. — შენ მაგიც ფიქრა ნუ გეკნება, მე თუ სიმდიდრეს და დიდკოც-ბას ეცებდე, ვინ იცის, რამდენი შემამტრფიან; მა-გრამ მე შენთან ცარიელ ხმელა პურს ვირჩევ და თუნ-და ჯოჯობეთი იყოს, სადაც შენ იქნები, მე შენთან ყველგან ვაქმდებ.“ რადგან მაგრე არის და ჰსჩანს ლეთის განგებას ერთმანერთისათვის დაეუბადებვიართ და სიამოვნის მეტი რაღა მმართებს? „არა, ჯერ ჩვენც დიდი ფიქრი გეინდა, რომ მამაჩემს ჩემი თავი ჰსთხოვო, ის გეარივით მძღვრია და მედიდური, არ მოგცემს. მგონია, ასე ჰსჯობდეს, ჯორწილი რაკი გა-თაელება და ხალხი იმშობდა, მამაჩემი თავის ხელო-ბაში წაეა, მაშინ შენ იდე მადი შემამტრფიან, ჩუ-მათ გამოვალ, ჯვარი გადავიწეროთ, შეეჭნდეთ ცხე-ნებზედ და თქვენი სოფლისაკენ გაესწიოთ.“ — მაგ სილამაზესთან ჰკუიანიც რომ ყოფილხარ? სწორით მაგრე მოვიკეთე, გენაცვალე. აბა, მაშ დასამტრეცე-ბლად ერთი კოცნის ღირსი გამხადე. თაზომ მიიკრა გულზედ, ტკბილად დაჰკოცნეს ერთმანერთი და შემ-დგომ მინაღორამ უთხრა: „ახლა კი მშვიდობით.“ გაიტკა ოთახისაკენ, თაზო იმედისეულს მიუბრუნ-და და უთხრა: — დიდი მადლობელი ვარ შენი და თუ ცოცხალი ვიქნები, მე ვიცი, როგორც შენს პატივის ცემას გადავიხდი. ერთი ოქროც ხელში ჩაუღო.

იმ ღამეს თაზოს მთელი ღამე არ დაეძინა, წა-
მოღვა და მინადლორანზედ ეს ლექსი დასწერა და საამო
ფიქრებში იყო გართული.

ტურფაო, ნაზო ლამაზო, მზეს გაუტუღე შეენება,
მთვარეს მიუღე ნათელი, ვარდ-ზამბახს ფეროვანება,
დღეს ქართულით ბანოვანი რიცებში არაფინ შეგედარება,
და მითხარ, შენსა მიჯნურსა რაღა გონება შერებება?
რათ უნდა ჭაბუქს სიმდიდრე, გინა ნმელეთის მეფობა,
ვისაც შენ ჰყვებარ საყვარლად, მას შენი ტურფობაც ეყოფა.
მამ დაწერე მუნე ჩემს სურვილს, ფრთები არ შეეკვეცებება,
და ოღონდ ეშხით დაკოდლის ელისოსს შენგან კურნება.

სისხამი დილა რომ შეიქნა, მეზურნეებმა სარი
დაპკრეს და ყველამ გაიღვიძეს. ეს ლინო-სმული
ხალხი აიშალა, გავიდნენ დათენთილები ჰაერზედ და
მინადლორანზედ გორავდნენ, მეფე დედოფალს ისევე ეძი-
ნათ, თინათინ და მინადლორან კი წამოაღვიძნენ. შეენიე-
რათ მორთო ეს თინათინმა და ტალავარზედ რომ
გამოვიდნენ, მეზურნეებმა შადიანი დაპკრეს. თაზო
მინადლორანს დანახავზედ ცეცხლით აწნათ და ღმერთს
ჩემეწებოდა მოთმინება მომე, რომ არაფინ რა შემი-
ტოსო.

იმ დღეს მანუჩარის სახლში დიდი ღიზინი და
შექცევა იყო. თაზო მინადლორანზედ დაწერილს ლექსს
დიდი გრძობით ამბობდა და თან ანიშნებდა შენ-
ზედ დაქსწერეთ. საღამო ხანი იყო, რომ სადილი
ვათავდა და საზოგადოება უნდა დაშლილიყო. ამ
დროს ერთი ცხენიანი კაცი მოიქრა და მანუჩარს
ქალღილი მოართო. ამან რომ წაიკითხა მუხლებში
ხელი დაიკრა და თქო: — ოჰ, ოჰ, ოჰ, ეს რა ამბავია?!
კიდევ აჯანყება და აჯანყება!.. აღექსანდრე ბატო-
ნიშვილს ჯარები შეუტრებია და რუსებზედ საბრძოლ-
ველათ მოდისო, ცხლა მეფე მიბრძანებ: „თუშ ფშე-
ლის ჯარი შეუკრიბოთ და თავდაზნაურობით წაი-
დეთ მოპირდაპირედ, რუსებს შეუტრეთ დედო და ბატო-
ნიშვილს ევოპოთ.“ თავდაზნაურობა შეშფოთიდა
და თქეს: — სამწუხაროა ეგ არის, რომ ძმა ძმის,
როგორ უნდა ეომოს? მსჩანს დიდი მწუხარება დაგვა-
ტყდება და ცოლ-შვილით დავიღუპებით. ყველამ
ე-გ-თავის სახლისკენ გაჰსწიეს. მანუჩარმა მსახურს
უბრძანა: — ჩქარა ცხენები შეკავზეთ. ამის მომს-
მენს მინადლორანსა და თაზოს სიამოვნით ცათა ფრე-
ნა მოვიკიდათ. ჩენი სურვილის შესრულება ცხლა

შეიძლებაო. მანუჩარმა სახანდრები დასაჩუქრა და
წაიღვიძნენ. თითონაც შეჯდა ცხენზედ და ჯარების
შესადგაროებლათ წაბრძანდა.

იმ ღამემ ისე გაიარა, თაზო აღარსადა ჩნდა.
მინადლორან მალ-მალ იმედისეულს გამოახედებდა, მა-
გრამ არსად იყო. ამით იფიქრეს, უთუოთ ამღამ ეერ
მოახერხა და ხელა ღამისათვის იქნება მზათაო, მეო-
რე ღამემაც ისევე ასე უიმედოთ გაიარა. მაშინ კი
თქვა მინადლორან: — „უთოთ თაზომ მომაცუყო, თო-
რემ სად ჩაიყლაბა?!“

მესამე ღამეს ცივი სუსხიანი საღამო იყო, მიე-
ლი არე ჯანღს მოეცევა, მაგრამ მინადლორან ტალო-
ვარზედ მალ-მალ გავიდოდა და ისევე შევიდოდა ხოლ-
მე, დაღონებულმა თქვა: — იმას რომ მამიჩემის წასე-
ლა თავის თვალით არ ენახა კიდევ, ეთფიქრებდი
რასმე და ცხლა კი ნეტა რას უნდა მიეჩემო?!..

ამ დროს ვილაკამ შურულღლით კენჭი ამოი-
სროლოა, რომელიც პატარა ბარათში იყო გახეული
და მინადლორანს წინ დაეცა. ამას თავში გაუარა: „ეს
თუ თაზოსი არ არის, სულ არა ვიციარაო.“ აიღო,
შინ შეარბევინა, გახსნა, დახედა და თქო: „არ შეე-
ცდი.“ წაიკითხა და ასე ეწერა: — ეს არის მოველ,
და აქ გელო. მინადლორანს სიწარული შეუდგა, ჩემად
თადარიკში შევიდა, სამი ხელი ძირფასი ტანი-
სამოსი და თავის ნივთულობა ბოლჩაში ჩაალაგა
და მიშალა, მერმე ამანაც პატარა ბარათი დაწე-
რა: როცა ყველას დაეძინებათ მაშინ გამოვალო.
ჩემ გაპარებაში კი იმედისეულს აღარ გავრევე, თორემ
მამაჩემი მოჰკლავს, ყოველივე ბრალი ისევე მევე
უნდა დავიდო.“ ეს რომა თქვა, ის კენჭივე შეხვია
ამ ბარათში, ტალავარზედ გაიარა და ჩახხეცა,
თაზოვაც ქუჩიდან დაიხმალა: აქა ეარო მინადლორან
კენჭი ვადაისროლოა. საჩქაროთ შინვე შეიბრძინა, მუთა-
ქზედ მივედო და მრავალნაირს ფიქრებში შევი-
და: — ხელა ჩემს მეტე სალაპარაკო თოლის ამ მზრა-
ში აღარაფის რა ექნება. მამაჩემს რაღა პირით უნდა
შეეხებოდ. არა, მოდ არ გავალ... ახ, რა ექნა? რომ
არ შემიძლიან.. იმის შეფიქრის სახეს ჩემს გულიდან
სიკვდილის მეტი ვილარა ამოშლის რა... ეჰ, რაც უნდა,
ქვეყანამ ის თქვას, თუ კი მე ბედნიერი ვიქნები...“
თინათინ შემოვიდა და მინადლორან რომ ასე
დაფიქრებული ნახა, ვაუკვირდა და უთხრა: — რას
იღრიჯები? ქვეყნის ხარჯს ხომ შენ არა ვთხო-
ვენ? „სულ იმას მიჯავრდებოდი, რასა ცელკოფო

და რომ დაედარბაისლდი, ესლა გაგიკვირდა?“ მიჰწედა და თინათინს ხეყენა კოცნა დაუწყო. თინათინმა სიცილით უთხრა:—ახლა პატარა ბოგშივით, ჩემი ტყლამა-ტყლემში მოვიინა? „ბოგშს კი ჯიჯარი აქვს, ესმის ჰიარნახული და დიდს კი არა?“ თინათინმა ხელეზი გასასესაე და უთხრა:—უი, გენაკეალოს ჩემი თავი, რომ ყველა კარგათ გესმის...

ეანშამი რომ მიირთევს და დაწვენ, მინადლორას გულს ძკარი გაჰქონდა. თინათინის ხერინეა რომ შემოესმა, ეს წყნარა და წამოდეა, ტანთ ჩიიცეა; დამზადებული ბოლჩა შალ ქვეშ ამოიფარა. კარებთან გავიდა თუ არა, თაზომ იმის ხელი გულზედ მიიკრა და უთხრა:—ჩემთვის სწორეთ ერთმა საუტუნემ გაიარა, რაც აღარ მინახებარ. აბა, წაივადეთ, ცხენები მზათა მყავს. მიუგო მინადლორამ: „მანამ ჯეარს არ დაიწერთ, მანამ როგორ წამოვილ? ჯერ საყდარში წაივადეთ.“—შენი ნებაა. გაჰსწიეს სისწრაფით ეკლესიისკენ. გზაზედ მინადლორა დაკითხა: „რათ დაიგვიანე? ეს მესამე ლამეა, შენმა ლოდინმა გონება დამინია.“—აი რათ დაიგვიანე, მე სახანდრები ჰირიეთ გადამვიდენ და ისეე ქალაქში მიპარობდენ წაყვანასა, მეც უაზრობის გულისთვის სამგორის მინდერებამდის მივქეე და იქ კი ვადაწყეტით ვუთხარი. თუ ესლა დედაჩემს არ მივხედე, არ იქნება და დავიბრდი, ისეე ჩქარა დაგებრუნდები-მეთქი. მერმე ცხენების ჰირაობასა და დამზადებაში მომიგვიანდა. ესენი ამ ლაპარაკით ეკლესიასთან მივიდენ და მნათე ვადაიქიეს. თაზომ უთხრა:—აბა, გაიქე და დეკანოზს მოახსენე, მობრძანდეს. ისიც სირბილით გაიქეა და დეკანოზი რომ მოვიდა და ესენი იცნო ვანციფერებულმა ჰკითხათ:—რა გენებათ, რომ ამ დროს აქ მობრძანებულხართ? ამათ თეთიან ვანძიახეა გამოუტყდას, დეკანოზმა შორის დაიქირა და უთხრათ:—სე რომ არ შემოდლია, მანუჩარ მძლავრადის ქალს ასე ჩემით უპატრონოთ ჯეარა დაეჰსწერო? ის ეშმაი კაცი ზომ ცოცხლოთ ჩაგენთქავს? მინადლორა და თაზო მრავალს ეხევეწენ, მაგრამ ვერა გააწყეს რა. იქიდან სხეა ეკლესიაში წაივადენ, ასე რომ თითქმის მთელი ქალაქი შემოიარეს, მაგრამ ყოველმა მღვდელმა იმავე პასუხით გამოისტურა. შეწუხებულნი და მოთმინება გამოლეულნი ერთმანერთს ეკითხებოდენ:—ახლა რა უყოთ და რა გვემეღებოთ თაზომ უთხრა:—რადღან აქ მამი-

შენის შიშით ჯეარს არაინა გეწერს, წაივადეთ ჩენს სოფელში და იქ კი უარს არაინ მეტყვის. „არა შენი ჰირიემ, მე ჯეარ დაუწერლათ წამოყოლას ვერ ვაგებდე.“—მაგაზედ ნუ მახროკლებ; ჩენც ზომ ერთმანერთზედ ხელის აძლებნი არა ვართ და სულ ერთი არ არის, აქ დაიწერთ ჯეარს თუ იქა? „არა, არა, გენაკეალე, მანდამდის კი თავს ვერ მოვიქრი.“—დამიჯერე გზას ვალდეეთ, თორემ ვი თუ მართლა ბუნტი მოხდეს და ეს ჩენი დაწყობილობა სულ ჩავიშალონ. „საცაა ვათენდება, ესლა მანც მეტი დრო აღარ არის, მომიკითხვენ და რაკი ვერ მიპოინან, ჩენს გაპარვას ვაიგებენ, მაშინ ჩემი ძმა მოგვეწევა, შენ კეთილს არ დაგაყრის და მეც გზიდან დამპარუნებს და ჩენს სურვილს ვეღარ მოვეწევი.“—მამ რა ექნათ? „ხეალ დამ წაივადეთ.“—მეტი რა ლონეა. ესა თქვეს და გასწიეს ისეე მძლავრადისას. კარებთან ერთმანერთს გამოსასლმენ და განშორდენ. მინადლორა რომ შევიდა, ყველანი დაათვალიერა; მაგრამ ჯერ ჩამი-ჩემი არასათ იყო. ესეც ჩაწეა ქვეშაგებში და ძილს მიხსცა თავი.

მანუჩარ მძლავრადეს ჯარები შევეროვებინა და თითონ სისწრაფით შინ წამოსულიყო. რომ სახლში დარიგება მიეცა და ისეე წასულიყო, შუა დღისას რიყეზედ მოაღწია. აქ ბართლომე დეკანოზი წინ ვადაუდეა და უთხრა:—სულმა წმინდამ გამიილა, რომ მოეშურებენ?—სამუი რა არის? რომ ამოდენი ხალხი არ დაილუოს, უნდა ვეცადოთ.—ევეც მაგრამ, მე სულ სხეა საგანზედ მოვახსენებ.—რახედე, აბა, თქვი?—მამ ერთს მინუტს ცხენიდან უნდა ჩამოხდე, რომ საიღუმლოთ მოვახსენო.—განა სასაიღუმლოც არის? მანუჩარ ჩამოხდა, ცხენი მსახურს მისცა და ესენი მხარ-და-მხარ ვადაუნის კარებთან მივიდენ. აქ ბართლომემ დაუწყო ლაპარაკი:—ბატონო მანუჩარ! პირში წყალი მიდეა და ჩემგან ძნელათ გამოსათქმელია და ვასაბედი, მაგრამ შენი მოძლიერი ვარ და შენი იჯახის ვაუპატორება ჩემთვისაც დიდათ საშუქარა და სათაქლოა არის.—როგორ?—თქვი ერთი შენ მაღლისა? გული ნუ ვადამბრუნე.—ისა რომა წუხელი მინადლორამა და თაზო ქედანამემ მთელი ეკლესიები შემოიარეს ჯეარის წერა ნებადეთ, მაგრამ ეინ ვაბედედა. ჩემთან რომ მოვიდენ, ვაუეჯადრი, დაეტუქეე და ვაგერეე. ჯერ არ ეიცი, მინადლორა ში-

ნე მიუყენია თუ არა. — როგორ თუ თავში და მინდორამ შემოიარეს? სხვა ეინა ჰყენდაო თანა. — არაინ, მარტო ორნი იყენ. — მაშ სულ დახეცილან ჩემ სახლში მყოფნი? მანუწარმა თავში შე მოიკრა და თქვა: — იმისთანა მაწანწალა მესტერი რომ იმ პატივით სახლში მივიღე, რასაკვირველია, რომ ქალსაც მოინდობდა?!. თქვენი ჭრიმით, საქართველოში ისეთი გამოჩენილი ოჯახი არ იყო, რომ მე ქალს არა მთხოვდა და იმათ სამაგიეროთ ვე აირჩია?!. მოკლავ იმ არამზადს, ცუცხალს არ გაუშვებ? მიუჯო ბათლომე: — მაგრე სულმოკლეობას რას აქნე? თქვენ ამას უნდა ეცადოთ, მანამ ქვეყანაში ეს ხმა გავა, მანამ ეინც შენი სურვილია, იმას მისცე. — რაკი მაგრე შემოუყენილია. ეილა დაჰყარავს? — მე მღვდლები გავაფთხილე არაეისთნა თქვით და ეს იყო თინათინთან უნდა წავსულიყავ და წინ კი შემხედოთ. — დაეიჯერო ვითომ იმას კი არ ეცოდინება? — თინათინის ღეთის მოყვარეობა ყველამ ვიცით. ის ამ საქმეში განა გავეროდა? მინადორა თავის შეუტყდენია და

აუყოლიებია, როგორც ყმაწვილი. — წაეალ მიეღეს მოსამსახურეებს ცემით დახეცო და ვათქმევინებ ესგან მოხდა. — მაგეებს თავი დაანებეთ, თუ გინდათ რომ ქალის სახელი დაიცვათ. — ე, ჩემო მოძღვარო ეილას ცოდევაში უნდა ჩაედგე და 'გაუპატიურებულნი ქალი ეილას რათ უნდა, ოჯახის მოსაყენებლად? — არა მგონია, საქმე ჯერ მაგ ზომამდის იყოს მიღწეული. — წაეალ და მე ვიცი, რასაც მოვახდენ. — ახლა განუჩივლათ კი არ უნდა განრიხებდ. — სირცხვილით მე ახლა თავი სადღა გამეყოფა? — ლაპარაკის დრო აღარ არის, თქვენ ის ბრძანეთ, ვისთვის გინდათ თქვენი ქალი, რომ იმაზედ დროით ჯვარი გადაესწროთ. — ბეყან ბუტიძე მთხოვდს, მაგრამ მე კიდევ უკეთესს ვეძებდ და თუ კი შეირთავს, ეხლა კი მივცემ. მე იმ ყმაწვილს წელან აქ ბაზარში მოეკარ თვალი. — მაშ, აბა, მიშველე.

ბარბარე ჯოჯაძისა
(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ბანსხალეხანი

სამეცნიერო და სალიტერატურო გამეითი

„კ ვ ა ლ ი“

სელის მოწერა „კვალსე“ ამ 1893 წელს განიერმობა წლიურად და ღირს 8 მანეთი.

გახეთი ნახევარი წლით ღირს გუგუხეთით — 4 მანეთი, სხმი თვით — 2 მანეთი, ორი თვით — 1 მანეთი და 50 კ., ერთი თვით — 1 მან. აღდრესის გამოცვლა ღირს 60 კ

გამოვიდა და ისეიდება

ბურბან რაინდი

გახელას

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

შანი მჰსნი შაური

სებაღი-სხე წამოეება

„როკპეი“

მიხილ სტეტანეს მის ბეთანიშვილისა ქ. ბათუმში.

ამ ბალში მოჰყავთ ცხელი ქვეყნების, ორანჟერის და სახლის მოსართავი მეცნარეები. აგრეთვე ისყიდება იმათი ნერგები და ყვავილების ძირები.

რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტროპიკული ჰავა, ამისგამო ბეთანიშვილის ბალში მოჰყავთ და უფლიან ძვირფას ტროპიკულს მცენარეებს, რომელნიც ჩრდილოეთის გრილ ჰავაში არ ხარობენ და მსურველთ შეუძლიანთ მათ გემონებისამებრ მოიპოვონ ყოველნაირი ამგვარი მცენარეები, რომელნიც ოთახის თბილ ჰავაში ხარობენ.

ბეთანიშვილის ბალში არის ამ ქვამდ ორახი ჩანის ვარდისა, ბურბონისა, რემონტატივისა და სხვა ნაირი ვარდების ნერგები. ხეხილის ნერგები საუკეთესო რუსეთის ლეეროპის გვარისა, ორისა და სამის წლისა, ფიჭველი და ლიბანის კედრის მგზავსი ხეების ნერგები; ჩირგვეული მცენარეები ყოველგვარნი, რომელნიც მუდამ მწვანობენ, ანუ რომელთაც ზამთრობით ფოთოლი სცივიათ.

სია ამ მცენარეებისა დაბარებისათნავე უფასოდ იგზავნება.